სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 27 ივნისი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, გიორგი ტურაზაშვილი, რაისა ლიპარტელიანი, ინგა სეხნიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ციცინო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ეთერი წიქარიშვილის, სერგეი კარახანიანის, იაკობ დიაკონიძის, გიორგი კორაშვილის, ნუცა ჯმუხაძის, ეკატერინე ნადირაძის, ანი მეზურნიშვილის, მარიამი ბუხულეიშვილის, მაია ახვლედიანის, შალვა მხეიძის, მარინე სიხარულიძის, გიორგი თომაძის, მარიამ ფირცხალავას, ბერდია ახალბედაშვილის, ლუკა ხატიაშვილის, თენგიზ მესხიშვილის, ეთერი ღონღაძის, მარიამ ბალაძის, თეკლა ნადირაძის, ელენე ივანიაშვილის, თამარი ფრუიძის, ხატია ხუბაშვილის, გიორგი მელიქიძის, ვიქტორია ბუცხრიკიძის, კობა ფუტკარაძის, ნიკოლოზ რუხაძის, ზვიადი ცომაიას, ნანა სურმანიძის, თამარი ნინოშვილის, სალომე კვირიკაშვილის, ანა ბირკაიას, ნინო ქუცნიაშვილის, ნინო მატარაძის, დავითი ბაბალაშვილის, მარიამ სპასოვის, თეონა დევიძის, გაიანე ვართანიანის, ნინო მიქავას, მარიამ მაშანეიშვილის, თორნიკე ხარატიშვილის, ნიკო ქებურიას, ქეთი ბერიძის და რატი ახვლედიანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის

თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ეთერი წიქარიშვილის, სერგეი კარახანიანის, იაკობ დიაკონიძის, გიორგი კორაშვილის, ნუცა ჯმუხაძის, ეკატერინე ნადირაძის, ანი მეზურნიშვილის, მარიამი ბუხულეიშვილის, მაია ახვლედიანის, შალვა მხეიძის, მარინე სიხარულიძის, გიორგი თომაძის, მარიამ ფირცხალავას, ბერდია ახალბედაშვილის, ლუკა ხატიაშვილის, თენგიზ მესხიშვილის, ეთერი ღონღაძის, მარიამ ბალაძის, თეკლა ნადირაძის, ელენე ივანიაშვილის, თამარი ფრუიძის, ხატია ხუბაშვილის, გიორგი მელიქიძის, ვიქტორია ბუცხრიკიძის, კობა ფუტკარაძის, ნიკოლოზ რუხაძის, ზვიადი ცომაიას, ნანა სურმანიძის, თამარი ნინოშვილის, სალომე კვირიკაშვილის, ანა ბირკაიას, ნინო ქუცნიაშვილის, ნინო მატარაძის, დავითი ბაბალაშვილის, მარიამ სპასოვის, თეონა დევიძის, გაიანე ვართანიანის, ნინო მიქავას, მარიამ მაშანეიშვილის, თორნიკე ხარატიშვილის, ნიკო ქებურიას, ქეთი ბერიძის და რატი ახვლედიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ანა ქორიძის, რუსტამ ატაშოვის, ბადრი გაბლაიას, ლაშა ჩალაძის, მერაბ ბასარიას, სოფიო ჩიჩუას, ნუგზარ ელიავას, მადონა მილდიანის, ბაჩანა რაფავას, გიორგი ბარჯაძის, მამია ბერიძის, ირაკლი ესიავას, ქეთო ქურასბედიანის, დავით სოხაშვილის, თამარ გოცირიძის, როლანდ კიტიას, გიორგი ელისაბედაშვილის, არჩილი ებრალიძის, შორენა ხარჩილავას, ჯემალ შელიას, ბექა ნადარაიას, გურანდა ქურდოვანიძის, ზვიად სურმანიძის ზურაბ სურმანიძის, ომარი ჯორბენაძის და ლევან საჯაიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ანა ქორიძის, რუსტამ ატაშოვის, ბადრი გაბლაიას, ლაშა ჩალაძის, მერაბ ბასარიას, სოფიო ჩიჩუას, ნუგზარ ელიავას, მადონა მილდიანის, ბაჩანა რაფავას, გიორგი ბარჯაძის, მამია ბერიძის,

ირაკლი ესიავას, ქეთო ქურასბედიანის, დავით სოხაშვილის, თამარ გოცირიძის, როლანდ კიტიას, გიორგი ელისაბედაშვილის, არჩილი ებრალიძის, შორენა ხარჩილავას, ჯემალ შელიას, ბექა ნადარაიას, გურანდა ქურდოვანიძის, ზვიად სურმანიძის ზურაბ სურმანიძის, ომარი ჯორბენაძის და ლევან საჯაიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო მიქავას, მარიამ მაშანეიშვილის, მანანა ბაწელაშვილის, ლაშა ფარცვანიას, ქრისტინე შანავას, თინათინ ჯალალიშვილის, კონსტანტინე ბახუტაშვილის და არჩილ ბჟალავას განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო მიქავას, მარიამ მაშანეიშვილის, მანანა ბაწელაშვილის, ლაშა ფარცვანიას, ქრისტინე შანავას, თინათინ ჯალალიშვილის, კონსტანტინე ბახუტაშვილის და არჩილ ბჟალავას გაცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. თეონა ლებანიძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

წევრები გაეცნენ თეონა ლებანიძის განცხადებას, რომლშიც აღნიშნული იყო, რომ სხვადასხვა პირადი მიზეზის საფუძველზე, სურვილი ქონდა ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილი გაეგრძელებინა სხვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეონა ლებანიძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 5. ადვოკატ სოსო კორკელიას განცხადება, სტაჟიორისთვის, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირების ნაწილის შეწყვეტის თაობაზე.

წევრები გაეცნენ ადვოკატ სოსო კორკელიას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, არ ქონდა სურვილი გაეგრძელებინა სტაჟირების ხელმძღვანელობა კონკრეტულ სტაჟიორთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, 10.10 პუნქტის თანხმად, თუ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი უარს აცხადებს სტაჟიორის ხელმძღვანელობის გაგრძელებაზე, უფლება აქვს დასაბუთებული განცხადებით მიმართოს აღმასრულებელ საბჭოს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატ სოსო კორკელიას განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. ვარსინე კრჯაციანის განცხადების განხილვა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრები გაეცნენ ვარსინე კრჯაციანის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის მონაწილე და როგორც სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირი, ითხოვდა ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურისგან გათავისუფლებას. განცხადებას თან ერთვოდა 2022 წლის 30 მაისით დათარიღებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 14.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მათ განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება განმცხადებელის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, შესაბამისად, მისი განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვარსინე კრჯაციანის განცხადება. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ სალომე ქავშბაიას, იზა ბერიშვილის, ნათია კობოსნიძის, სოფიკო ჭანკვეტაძის, ვახტანგი კოჭატაშვილის, ზვიადი ბატიაშვილის, ანა ქორიძის, გიორგი შერმადინის, სერგო ლომსაძის, მარიკა გერსამიას და ამირან ხუციშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად იზა ბერიშვილის, ნათია კობოსნიძის, სოფიკო ჭანკვეტაძის, ვახტანგი კოჭატაშვილის, ზვიადი ბატიაშვილის, ანა ქორიძის, გიორგი შერმადინის, სერგო ლომსაძის, მარიკა გერსამიას და ამირან ხუციშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების თაობაზე განცხადების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდირებული, კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის - ბესიკ გულიაშვილის კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტის წევრად დამტკიცდეს ბესიკ გულიაშვილის კანდიდატურა.

წევრები გაეცნენ ნინო ამაღლობელის და ხათუნა ბესელიას განცხადებებს ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ორივე განმცხადებლის კანდიდატურა რეკომენდირებულია კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სისხლის სამართლის კომიტეტის წევრებად დამტკიცდეს ნინო ამაღლობელის და ხათუნა ბესელიას კანდიდატურები.

საკითხი 9. ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მიზნით შემოსული განცხადებების განხილვა, ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების მიზნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მიზნით, ასოციაციაში შემოვიდა 36 განაცხადი, რომელთაგან რეკომენდაცია გაეწია შემდეგ 9 განმცხადებელს: დათუნა მოდებაძე, გელა სიორდია, პაატა მეხრიშვილი, სულხან კომახიძე, რამაზ ჩინჩალაძე, თათია მაისურაძე, ირაკლი ჩომახაშვილი, ჯაბა კოჭლამაზაშვილი და ზაზა დათუკიშვილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ციცინო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე; წინააღმდეგი 1: ინგა სეხნიაშვილი), მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დათუნა მოდებაძე, გელა სიორდია, პაატა მეხრიშვილი, სულხან კომახიძე, რამაზ ჩინჩალაძე, თათია მაისურაძე, ირაკლი ჩომახაშვილი, ჯაბა კოჭლამაზაშვილი და ზაზა დათუკიშვილი.

საკითხი 10. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ქრისტინე მარცვალაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სამსახურეობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილის გავლას და მომართა აღმასრულებელ საბჭოს ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე - 11 მუხლის, 11.6 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სტაჟიორს შეიძლება შეუწყდეს სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქრისტინე მარცვალაძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული

გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) შორენა ქადიძის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ არის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორი და შექმნილი ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, ითხოვდა თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილებას, სტაჟირების ნაწილის - 9 -თვიანი პერიოდის დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შორენა ქადიძის განცხადება და მას გადაუვადდეს თეორიული კურსის საფასურის გადახდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, 9 თვიანი სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე